ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5110739

ნომერი: AR1773011

თარიღი : 07.09.2020

გაცემის თარიღი : 22.09.2020

გაცნობის თარიღი : 07.10.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გია აბესაძეს ქუჩა, N 23;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მაკა ოდიკაძე პ/ნ 01012003183
- თბილისი მ. ალექსიძის ქ. N3

ორგანიზაცია:
- ააიპ "თბილისის განვითარების ფონდი" კოდი: 404384974

ნომენკლატურა :

- თბილისის განვითარების ფონდი
- ასაშენებელი არქიტექტურული ობიექტები

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ სამშენებლო საქმიანობის განხორციელებისას სამშენებლო დოკუმენტაციის წარმოებისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-15 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განხილული იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე (ოქმი N34; 17.09.2020 წ.) რომლის დასკვნის საფუძველზეც საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.
პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1.წარმოდგენილი ესკიზური პროექტი დამუშავდეს ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობანაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების მე-12 მუხლის მიხედვით. პროექტის დამუშავებისას გაითვალისწინეთ:
- კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართი და მაჩვენებელი დასაზუსტებელია, ტექ.ეკონომიკურ მაჩვენებლებში ორი განსხვავებული მონაცემია მითითებული.
- შესაბამის ნახაზებზე მკაფიოდ იქნას ნაჩვენები ტერიტორიაზე აღმოჩენილი კულტურული ფენის ნაშთები.
- დაზუსტდეს სამეზობლო საზღვრების მხარეს განთავსებული ღიობებიდან საზღვრებამდე მანძილი. დაცული იქნას მიჯნის ზონები.
- წარმოდგენილი იქნას შენობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა.
2. ტოპოგრაფიული გეგმა ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.
3. 2013 წლის 15 ივლისის N814858 გადაწყვეტილებით შეთანხმებულია სამშენებლო დოკუმენტაცია და თუ აღარ გსურთ სამუშაოების შეთანხმებული სამშენებო დოკუმენტაციის შესაბამისად განხორციელება, ასეთ შემთხვევაში, საჭიროა 2013 წლის 15 ივლისის N814858 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება. მოთხოვნის დაფიქსირება შესაძლებელია ამავე განცხადებაზე.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.
აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.